



17.10.2018

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

მეოთხე სამუშაო ჯგუფის
სხდომის ოქმი №3

1. მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ

სახელი, გვარი	ორგანიზაცია
ლევან გზირიშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
რევაზ ნადარაია	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
გიორგი მიქაუტაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
შორენა მეზურნიშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ქეთევან ლაცაბიძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ვახტანგ გარდაფხაძე	სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
შოთა ქარჩავა	სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
ანა შალამბერიძე	საქართველოს უზენაესი სასამართლო
თინათინ ტყეშელია	საქართველოს უზენაესი სასამართლო
მარიამ ბერბიჭაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
უმანგი ბახტაძე	ევროპის საბჭო
მარიამ მხატვარი	ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
თამარ პაპაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
მარიანა ფომაევა	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნინო დემურხანაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

2. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები

- შშმ პირებისთვის ინფრასტრუქტურული გარემოსა და ტექნოლოგიების ადაპტირების შეფასება.¹

3. მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მიმოხილვა

2018 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა ჯგუფის 7 წევრი: რევაზ ნადარაია, ლევან გზირიშვილი, შორენა მეზურნიშვილი, ქეთევან ლაცაბიძე, ვახტანგ გარდაფხაძე, ხატია შეყილაძე და ანა შალამბერიძე. კვორუმი შედგა, კენჭისყრის შედეგად ჯგუფის დამსწრე წევრთა სრულმა უმრავლესობამ მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე მონაწილეობის მისაღებად მოიწვია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, საბჭოს აპარატის თანამშრომლები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, ევროპის საბჭოსა და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის წარმომადგენლები.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის წარმომადგენელმა სურვილი გამოთქვა დასწრებოდა მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრას. ამდენად, კენჭისყრის შედეგად ჯგუფის დამსწრე წევრთა სრულმა უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება და სხდომას დაესწრო აღნიშნული პირი.

ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე.

4. მეოთხე სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე

მეოთხე სამუშაო ჯგუფის წევრმა ვ. გარდაფხაძემ ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე და აღნიშნა, რომ ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ იგეგმება შშმ პირებისთვის ინფრასტრუქტურული გარემოსა და ტექნოლოგიების ადაპტირების შეფასების თაობაზე კვლევის მომზადება.

ევროპის საბჭოს წარმომადგენლის უ. ბახტაძის თქმით, პროექტში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ექსპერტები. ამასთან, აღნიშნული პროექტის განხორციელების დაწყება იგეგმება 2019 წლის იანვრიდან და 5 თვე გაგრძელდება.

აღნიშნა, რომ საქართველოს 69 სასამართლოს როგორც შიდა, ასევე გარე ტერიტორიებზე შეიქმნება ადაპტირებადი გარემო, რაც შშმ პირებს მისცემს სასამართლოებში შეუფერხებლად გადაადგილების შესაძლებლობას.

¹ იხ. პროგრამა 5.2.4-ის პირველი აქტივობა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა, გ. მიქაუტაძემ დადებითად შეაფასა აღნიშნული აქტივობა და ისაუბრა დონორი ორგანიზაციების ჩართულობის მნიშვნელობაზე მსგავსი ღონისძიებების განხორციელების მიზნით.


ჯგუფის თანამომხსენებლებმა ასევე დადებითად შეაფასეს წარმოდგენილი პროექტი.

მეოთხე სამუშაო ჯგუფის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნული პროექტის განხორციელებას და მოიწონეს იგი.

5. თანდართული დოკუმენტები

- მეოთხე სამუშაო ჯგუფის 2018 წლის 17 ოქტომბრის შეხვედრის დღის წესრიგი.

თანამომხსენებლები:



ლევან გვირიშვილი

რევაზ ნადარაია

სხდომის მდივანი:



ნინო დემურხანაშვილი

IV სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დღის წესრიგი

შეხვედრის
ადგილი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

თარიღი: 17 ოქტომბერი, 2018

დრო: 17:30 საათი

განსახილველი საკითხები:

- შპმ პირებისთვის ინფრასტრუქტურული გარემოსა და ტექნოლოგიების ადაპტირების შეფასება.